პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ''Front-end დეველოპმენტი'' დამატების შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ქეთევან ანთაძე

წევრი: დავით ბიტმალკიშევი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა: საჯარო სამართლის იურიდიული პირი

საიდენტიფიკაციო კოდი: 204864548

სახე:

- [x] უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება
- [ ] ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება
- [ ] პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2024 წლის 3 ივლისის ბრძანების MES 9 24 0000797456 საფუძველზე შექმნილმა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა 2024 წლის 19 ივლისს განახორციელა ვიზიტი სსიპ- ''ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში" (მის: ქ. თბილისი, უნივერსიტეტის ქ. 2), პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „Front-end დეველოპმენტი" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების" 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების მიზნით.

შემუშავებული დღის წესრიგის შესაბამისად, ვიზიტის ფარგლებში ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა მოისმინა დაწესებულების ადმინისტრაციის ხედვა დასამატებლად წარმოდგენილ პროგრამასთან მიმართებით, შეისწავლა დაწესებულების მიერ გადმოგზავნილი მასალები, მოხდა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის განხილვა, საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო რესურსის დათვალიერება, გასაუბრება პროგრამის ხელმძღვანელთან, პროფესიული განათლების მასწავლებლებთან, ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან. ექსპერტთა ჯგუფის მიერ განხილული დოკუმენტაციის ანალიზი, დათვალიერებისა და გასაუბრების შედეგები დეტალურად არის ასახული დასკვნაში.

ვიზიტის ფარგლებში, დამატებით მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, უნივერსიტეტს ჯამში ჰყავს 26 000 სტუდენტი, ხოლო 500 პროფესიული სტუდენტი ორივე ლოკაციაზე (ქუთაისი, თბილისი). ასევე დაწესებულების წარმომადგენლებმა აღნიშნეს რომ სამომავლოდ იგეგმება კიდევ ერთი შენობის აშენება, რომელიც ასევე იქნება უნივერსიტეტის ნაწილი და ხელს შეუწყობს პროფესიული ცენტრის გაფართოვებას. გარდა ამისა გარკვეულ მიმართულებებზე შესაძლოა განიხილონ მოკლევადიანი პროგრამების დამატებაც.

III. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

-

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი II. სტანდარტთან შესაბამისობა და რეკომენდაციები

I. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
2) საგანმანათლებლო პროგრამები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

II. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

*გთხოვთ, ასახოთ **ყველა ხარვეზი** (სტანდარტის შეუსაბამობა), რომელიც გამოვლინდა ვიზიტის პერიოდში, სტანდარტის ინდიკატორის მითითებით.*

III. სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

*გთხოვთ, ასახოთ **ყველა ის რეკომენდაცია,** რომელიც დაწესებულებას მიეცა II სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, სტანდარტის ინდიკატორის მითითებით.*

IV. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

*გთხოვთ, ასახოთ **ყველა ის რეკომენდაცია,** რომელიც დაწესებულებას მიეცა II სტანდარტთან მიმართებით, განსავითარებლად და პროცესების უკეთ წარმართვის უზრუნველსაყოფად, შესაძლებლობის შემთხვევაში სტანდარტის ინდიკატორის მითითებით.*

V. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი III. ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

I. ზოგადი ინფორმაცია

პროგრამის სახელწოდება	Front-end დეველოპმენტი /Front-end Development
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე დონე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია Front-end დეველოპმენტში/ Secondary Vocational Qualification in Front-end Development
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0612
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	რექტორის ბრძანება N 168/01-01 26.06.2024
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. თბილისი, უნივერსიტეტის ქ. N2
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	იმიტირებულ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	40
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	-

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	60
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	90

II. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი IV. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;

დაწესებულების გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის " Front-end დეველოპმენტი " განხორციელების შესახებ, ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება მის მისიასა და სტრატეგიული განვითარების გეგმას. გამომდინარე იქედან, რომ პროგრამის დამატების მიზანშეწონილობის დასადგენად

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თვით შრომის ბაზრის მოკვლევა, მისი პრიორიტეტული მიმართულებებისა და პროფესიების მოძიება მნიშვნელოვანი ელემენტია, ახალი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების მიზნით, დაწესებულების „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, შეფასებისა და განვითარების წესი“-ს შესაბამისად, თსუ პროფესიული განათლების ცენტრის ხელმძღვანელის 2023 წლის 27 დეკემბრის N07/85-07-01 ბრძანებით შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელშიც შედიოდნენ შესაბამისი კვალიფიკაციის, მიმართულებისა და დარგის სპეციალისტები და რომელმაც შეისწავლა ინფორმაცია შრომის ბაზარზე მოთხოვნადი პროფესიების შესახებ.

სამუშაო ჯგუფმა სხვადასხვა კვლევების ანალიზისა და სანდო წყაროზე დაყრდნობით, წარმოადგინა ანგარიში, რომლის თანახმადაც პრაქტიკის ობიექტებთან განხორციელებული პირადი კომუნიკაციის, სახელმწიფო ორგანიზაციების, კერძოდ საქართველოს ეროვნული სტატისტიკის სამსახურის (საქსტატი) მიერ განხორციელებული კვლევების და HR.GE-ის სატისტიკური ინფორმაციის დამუშავებისა და გაანალიზების, ასევე, პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო კვალიფიციური ადამიანური და მატერიალური რესურსის არსებობის საფუძველზე, მიზანშეწონილად მიიჩნია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „Front-end დეველოპმენტი“-ს განხორციელება.

დაწესებულების მისია, რომელიც მოიაზრებს ეროვნულ და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებათა დამკვიდრებისა და საზოგადოების ინტელექტუალური, ზნეობრივი, კულტურული და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობას; ახალი ცოდნის შექმნას, შენახვასა და გავრცელებას; სტუდენტზე ორიენტირებულ სწავლებასა, კონკურენტუნარიანი კადრების მომზადებასა და მთელი ცხოვრების განმავლობაში სწავლის ხელშეწყობა, არ ზღუდავს დასამატებელი პროგრამის პროფილს. ხოლო პროფესიული განათლების ცენტრის სტრატეგიული და შესაბამისად, სამოქმედო გეგმის ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენს - შრომის ბაზარზე არსებული ტენდენციის გათვალისწინებით, ახალი პროფესიული საგანამანათლებლო პროგრამებისა და მომზადება/გადამზადების პროგრამების შემუშავება და დანერგვა.

გამომდინარე აქედან, საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ დაწესებულების გადაწყვეტილება, ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება მის მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „Front-end დეველოპმენტი“ დაშვების წინაპირობაა სრული ზოგადი განათლება. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის პროცედურები შესაბამისობაშია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის N42/ნ ბრძანებით დამტკიცებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესთან და პირობებთან. აპლიკანტი პროგრამაზე სწავლის უფლებას მოიპოვებს საქართველოს კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით განსაზღვრული პროცედურების გავლის საფუძველზე.

გარდა ამისა, დაწესებულების ‘‘პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით‘‘ განსაზღვრულია სსიპ- ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული განათლების ცენტრის ადმინისტრირების ფარგლებში მიმდინარე ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული სტუდენტის: სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტის, მობილობის, მიღებული განათლების აღიარების, მიღწევების შეფასების ერთიანი პროცედურა, უფლება-მოვალეობები, კვალიფიკაციის მინიჭების, დიპლომის გაცემის, შშმ და სსსმ პირების სასწავლო პროცესში ინტეგრირების მექანიზმები, პროფესიული პროგრამის გაუქმების ან შეცვლის შემთხვევაში შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები და სასწავლო პროცესთან დაკავშირებული სხვა საკითხები, მათ შორის, პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების საკითხები.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპიროებები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა და უნარები უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;

უნივერსიტეტის რექტორის 2024 წლის 8 ივლისის ბრძანების N 178/01-01 თანახმად, დაწესებულებაში დამტკიცებულია სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ‘‘პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, შეფასების,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

განვითარების და პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის წესი‘‘ რომელიც საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩასარიცხი პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის დადგენისას ითვალისწინებს როგორც A, ასევე, B სასწავლო გარემოს არსებობას და მათი ინფრასტრუქტურის რაოდენობრივ მაჩვენებელს (გამტარუნარიანობას). ამასთან, გათვალისწინებულია პროგრამის ორ ცვლაში (დილას, საღამოს) განხორციელების შესაძლებლობა. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „Front end დეველოპმენტი“-ს A/B გარემო, ინფრასტრუქტურა და რესურსები (მატერიალური, ფინანსური, საინფორმაციო, ტექნიკური) იძლევა საშუალებას, ერთ ცვლაში ისწავლოს 20-მა, ხოლო ორ ცვლაში 40-მა პროფესიულმა სტუდენტმა.

აღნიშნული დასტურდება ადგილზე ვიზიტისას განხორციელებული გადამოწმების საფუძველზეც. შესაბამისად, ექსპერტთა მოსაზრებით, დაწესებულება საგანმანათლებლო პროგრამისთვის ‘’Front-end დეველოპმენტი’’ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით.

4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;

საგანმანათლებლო პროგრამით ‘‘Front-end დეველოპმენტი‘‘ გათვალისწინებულია სწავლის შედეგების მიღწევის უზრუნველსაყოფად საჭირო რესურსები, სასწავლო და მატერიალური რესურსი, რომელიც ასახულია პროგრამის დანართში - N2. თითოეულ მოდულში წარმოდგენილია სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო სასწავლო რესურსი.

ექსპერტთა მოსაზრებით, თსუ პროფესიული განათლების ცენტრი უზრუნველყოფს აღნიშნული რესურსების, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსის, რომელიც დაწესებულებას სრულად აქვს ხელმისაწვდომი ელექტრონული სახით, ხელმისაწვდომობას პროფესიული სტუდენტებისათვის და შესაბამისად უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამას " Front-end დეველოპმენტი " არ გააჩნია არჩევითი მოდულები.

6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;

დაწესებულების 2019 წლის 22 ივლისის აკადემიური საბჭოს №96/2019 დადგენილებით დამტკიცებულია "პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, შეფასებისა და განვითარების წესი", რომლის თანახმადაც, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მტკიცდება რექტორის მიერ. ხოლო, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა " Front-end დეველოპმენტი " დამტკიცებულია სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2024 წლის 26 ივნისის N 168/01-01 ბრძანებით.

გამომდინარე აქედან, საგანმანათლებლო პროგრამა " Front-end დეველოპმენტი " დამტკიცებულია უფლებამოსილი პირის მიერ.

7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;

საგანმანათლებლო პროგრამა „Front-end დეველოპმენტი" შემუშავებულია სსიპ - პროფესიული უნარების სააგენტოს მიერ დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის შესაბამისად. პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციაა - საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია Front-end დეველოპმენტში, ხოლო პროგრამის სახელწოდება „Front-end დეველოპმენტი" (ინგლ. Front-end Development), რაც სრულად შეესაბამება როგორც პროგრამის შინაარსს, ასევე, მისაღწევი სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

საგანმანათლებლო პროგრამა „Front-end დეველოპმენტი“ შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „Front-end დეველოპმენტი“-ს პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის საფუძველზე. ამასთან, ის შესაბამისობაშია თსუ „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, შეფასებისა და განვითარების წესთან“ და კანონმდებლობით დადგენილ სხვა მოთხოვნებთან.

პროგრამის დასახელება შეესაბამება პროგრამის შინაარსსა და პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს. პროგრამით განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, დაწესებულებისა და პროგრამის ხელმძღვანელის საკონტაქტო ინფორმაცია, პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის სახელწოდება ქართულ და ინგლისურ ენაზე და სტანდარტის სარეგისტრაციო ნომერი, რომლის საფუძველზეც შეიქმნა პროგრამა. პროგრამით მისანიჭებელი კვალიფიკაცია ქართულ და ინგლისურ ენაზე, პროგრამის მიზანი, კვალიფიკაციის დონე, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, მისაღწევი სწავლის შედეგები, შეფასების მიმართულებები, პროგრამის მოცულობა, პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობა..

პროგრამას თან ერთვის სასწავლო გეგმები ქართულენოვანი და არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის, განმახორციელებელი ადამიანური პერსონალის ჩამონათვალი, ინფორმაცია სასწავლო გარემოსა და მატერიალური რესურსის შესახებ, ზოგადი და პროფესიული მოდულების ჩამონათვალი.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტი ითვალისწინებს: 3 - ზოგად მოდულს, ჯამური 9 კრედიტის მოცულობით და 10 პროფესიულ მოდულს ჯამური 51 კრედიტის მოცულობით. საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა შეადგენს 60 კრედიტს ქართულენოვანი სტუდენტებისათვის, ხოლო 90 კრედიტს არაქათულენოვანი სტუდენტებისთვის.

სასწავლო გეგმა ლოგიკურად არის აწყობილი, არ ხდება მოდულების გადაფარვა და სტუდენტთა სასწავლო დატვირთვა არ აღემატება შრომის კოდექსით დასაშვებ კვირეულ დატვირთვას. პროგრამის შემუშავება განხორციელებულია დაწესებულების მიერ დადგენილი რეგულაციის დაცვით, რაც დასტურდება როგორც არსებული დოკუმენტაციის განხილვით ასევე პროცესში ჩართულ პირთა ინტერვიუს შედეგებით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამა „Front-end დეველოპმენტი“ შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულებები):

• დაწესებულების სტრატეგიული განვითარების გეგმა;
• პროგრამის " Front-end დეველოპმენტი" დამატების მიზანშეწონილობა;
• „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, შეფასებისა და განვითარების წესი";
თსუ პროფესიული განათლების ცენტრის ხელმძღვანელის 2023 წლის 27 დეკემბრის N07/85-07-01 ბრძანება სამუშაო ჯგუფის შექმნის თაობაზე;
• სამუშაო ჯგუფის ანგარიში;
• " სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი";
• უნივერსიტეტის რექტორის 2024 წლის 8 ივლისის ბრძანების N 178/01-01 თანახმად, დაწესებულებაში დამტკიცებულია სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში "პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, შეფასების, განვითარების და პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის წესი";
საგანმანათლებლო პროგრამა " Front-end დეველოპმენტი"
• 2019 წლის 22 ივლისის აკადემიური საბჭოს №96/2019 დადგენილებით დამტკიცებული "პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, შეფასებისა და განვითარების წესი",
• დათვალიერებისა და გასაუბრების შედეგები;

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;**

ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულებას კონტიგენტის განსაზღვრისას გათვალისწინებული აქვს A / B სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა 20 სტუდენტი (ჯამში - 40 პროფესიული სტუდენტი ორ ცვლაში) და იგი უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით. პროგრამის მოდულების განხორციელებისათვის დაწესებულებას მოწყობილი აქვს:

A/B სასწავლო გარემო აუდიტორია #103 - 20 პროფესიულ სტუდენტზე, რომელიც აღნიშნული პროგრამის მიზნებისთვის არის გამოყოფილი და აღჭურვილია შემდეგი ინვენტარით:

- 20 ერთეული მაგიდა და სკამი პროფესიული სტუდენტისათვის;
- 20 ერთეული პერსონალური კომპიუტერი პროფესიული სტუდენტისათვის;
- 1 ერთეული მაგიდა/სკამი პროფესიული განათლების მასწავლებლისათვის;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- 1 ერთეული დაფა; - 1 ერთეული პროექტორი; - 1 ერთეული კომპიუტერი პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის.

საერთო ჯამში დაწესებულების A/B გარემო, პროგრამის გათვალისწინებით, სრულად არის საკმარისი, სრული დატვირთვის შემთხვევაში, ყველა პროფესიული სტუდენტის საჭიროების დასაკმაყოფილებლად.

2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ''Front-end დეველოპმენტი'' განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობაა ჯამში 10 მასწავლებელი. 7 დარგობრივი მოდულის განმახორციელებელი (მათ შორის პროგრამის ხელმძღვანელი), ხოლო 3 ზოგადი მოდულის განმახორციელებელი, რომელთა დატვირთვაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. პროგრამებით გათვალისწინებული სასწავლო გეგმების მიხედვით, არცერთი განმახორციელებლის ერთდროული ყოველკვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საკონტაქტო საათს.

ინდიკატორთან მიმართებით, ექსპერტთა შეფასებით, პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობის, პროგრამის სასწავლო გეგმისა და კოლეჯის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შინაარსის მიხედვით, პროფესიულ მასწავლებელთა დატვირთვა უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას და ითვალისწინებს საქართველოს შრომის კოდექსის მოთხოვნებს.

3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;

ვიზიტის ფარგლებში, ექსპერტთა მიერ გადამოწმდა დაწესებულების მიერ მოწოდებული მასალები, პროფესიული განათლების მასწავლებელთა პირადი საქმეები და შრომითი ხელშეკრულებები. გარდა ამისა, მოხდა გასაუბრება პროგრამის განმახორციელებელ პედაგოგებთან, რის შედეგადაც დადგინდა, რომ მათ აქვთ პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია, რაც დასტურდება მათი კვალიფიკაციითა და პრაქტიკული სამუშაო გამოცდილებით.

რექტორის ბრძანებით N 178/01-01 08.07.2024 დამტკიცებული აქვს "სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, შეფასების, განვითარების და პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის წესი", რომლის ფარგლებშიც განსაზღვრულია თუ რა სახის კვალიფიკაცია უნდა გააჩნდეს პროფესიული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საგანმანათლებლო პროგრამისთვის საჭირო ადამიანური რესურსს. რეგულაციის თანახმად, შესაბამისი კვალიფიკაციის მქონედ ითვლება პირი, რომელსაც აქვს პროგრამის მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევისთვის აუცილებელი კომპეტენცია, რაც შეიძლება დადგინდეს ამ პირის აკადემიური/პროფესიული კვალიფიკაციით, მიღებული სპეციალური განათლებით/კურსებით/ტრენინგებით ან შესაბამისი პროფესიით მუშაობის არანაკლებ 1 წლის გამოცდილებით თუ პროგრამით სხვა რამ არ არის დადგენილი.

ვიზიტის ფარგლებში, პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრებისას აღინიშნა, რომ პროფესიული სტუდენტის შეფასების სპეციფიკის გათვალისწინებით, პროფესიულ მასწავლებლებს უტარდებათ და სამომავლოდაც ჩაუტარდებათ ტრენინგები და კონსულტაციები შესაბამისი უნარების გაუმჯობესების მიზნით, როგორც ჯგუფურ, ასევე ინდივიდუალურ ფორმატში.

ყოველივე ზემოაღნიშნულის შესაბამისად, პროფესიულ მასწავლებელთა პირადი საქმეების გადამოწმებისა და ინტერვიურებისას დადასტურდა, რომ ყველა მათგანს აქვს პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელის პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია.

4. **საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;**

თსუ პროფესიული განათლების ცენტრს რექტორის ბრძანებით N 178/01-01 08.07.2024 დამტკიცებული აქვს "სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, შეფასების, განვითარების და პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის წესი", რომლის ფარგლებშიც განსაზღვრულია პროგრამის ხელმძღვანელისთვის აუცილებელი პროგრამასთან შესაბამისი კვალიფიკაცია და სამუშაო გამოცდილება, და პროგრამის ხელმძღვანელის უფლება-მოვალეობები.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის მიმართ წაყენებული მინიმალური მოთხოვნები და ფუნქცია-მოვალეობები, მოიცავს ისეთ საკითხებს,როგორიცაა პროგრამის შემუშავების პროცესში პროგრამის შესაბამისი კვალიფიკაციის და სამუშაო გამოცდილების მქონე განმახორციელებელი პერსონალის მოძიება, უნივერსიტეტის პროფესიული განათლების ცენტრის ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერთან ერთად ს პროფესიული პროგრამის და მასთან თანდართული დოკუმენტაციის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესითა და უნივერსიტეტის შიდა მარეგულირებელი სამართლებრივი დოკუმენტების საფუძველზე მომზადება/რედაქტირება, პროფესიული პროგრამის ავტორიზაციის პროცესში მონაწილეობა, პროფესიული პროგრამების განვითარებასა და საკანონმდებლო ცვლილებებთან შესაბამისობაში მოყვანაზე ზრუნვა, ანგარიშების წარმოება და სხვა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების მიერ, რეგულაციის გათვალისწინებით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ''Front-end დეველოპმენტი'' ხელმძღვანელად დანიშნულია პირი, რომელსაც აქვს სათანადო დარგობრივი კომპეტენციისა და მრავალწლიანი პროფესიული და პედაგოგიური გამოცდილება, რომლის დარგობრივი კომპეტენცია დასტურდება მის პირად საქმეში არსებული კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტებითა და გასაუბრების შედეგით. იგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისას პასუხისმგებელია მის შესაბამისობაზე ჩარჩო დოკუმენტთან. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების განმავლობაში მისი სრულყოფის მიზნით, კოორდინირებულად მუშაობს თსუ პროფესიული განათლების ცენტრთან და თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ერთი სრული ციკლის დასრულების შემდეგ, თსუ პროფესიულ განათლების ცენტრში წარმოადგენს ანგარიშს, სადაც აისახება პროგრამის განვითარების რეკომენდაციები.

შესაბამისად, ექსპერტთა მოსაზრებით, საგანმანათლებლო პროგრამას ''Front-end დეველოპმენტი'' ჰყავს დაწესებულების მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი.

5. **წარმოდგენილი სასწავლო რესურსი შესაბამისობაშია პროგრამაში ჩამოთვლილ სასწავლო რესურსთან და უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტთათვის პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.**

ვიზიტის ფარგლებში, ექსპერტთა მიერ შეფასდა მოდულებში მითითებული სასწავლო რესურსის არსებობა და ხელმისაწვდომობა, რის შედეგადაც დადგინდა რომ პროგრამაში ''Front-end დეველოპმენტი'' მითითებული საგანმანათლებლო რესურსები ხელმისაწვდომია ელექტრონულად, რაც უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთათვის პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

დაწესებულებას დრაივზე განთავსებული აქვს განთავსებული პროგრამისთვის საჭირო საგანმანათლებლო რესურსები სრულად, ხოლო რესურსების ელექტრონული ბაზაზე წვდომა აქვთ დაწესებულების დომენით რეგისტრირებულ პირებს, როგორც პროფესიულ სტუდენდებს, ასევე მასწავლებლებს.

შესაბამისად, დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ელექტრონული რესურსების გაცნობისა და პასუხისმგებელ პირებთან გასაუბრების შედეგად დგინდება, რომ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის ''Front-end დეველოპმენტი'' სასწავლო რესურსი, შესაბამისობაშია წარმოდგენილ სასწავლო რესურსებთან და უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტთათვის პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

თსუ პროფესიული განათლების ცენტრის მიერ უზრუნველყოფილია სსსმ/შშმ პროფესიული სტუდენტებისთვის სრულად ადაპტირებული სასწავლო გარემო და რესურსი. ინდიკატორთან მიმართებით, დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, რომლის ფარგლებშიც გაწერილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის პროცედურა, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის პროცესში მონაწილე/პროცესზე პასუხისმგებელი პირები და ვადები. წესის თანახმად, სასწავლო პროცესში პროფესიული სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო საჭიროებ(ებ)ის გამოვლენის შემთხვევაში მასწავლებელი დაუყოვნებლივ აცნობებს ცენტრის ხელმძღვანელს აღნიშნულის თაობაზე. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა გონივრულ ვადაში (არაუმეტეს 2 კვირა), პროფესიული სტუდენტის და, საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი დარგის სპეციალისტის ჩართულობით, იქმნება პროფესიული მასწავლებლის მიერ რომელიც უნდა შეთანხმდეს სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერთან.

მარეგულირებელი წესით ასევე განსაზღვრულია პროფესიული სტუდენტის უფლება-მოვალეობები, სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტის, მობილობის, მიღებული განათლების აღიარების, მიღწევების შეფასების ერთიანი პროცედურა, უფლება-მოვალეობები, კვალიფიკაციის მინიჭების, დიპლომის გაცემის, შშმ და სსსმ პირების სასწავლო პროცესში ინტეგრირების მექანიზმები, პროფესიული პროგრამის გაუქმების ან შეცვლის შემთხვევაში შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები და სასწავლო პროცესთან დაკავშირებული სხვა საკითხები, მათ შორის, პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების საკითხები.

ამასთან, თსუ პროფესიული განთლების ცენტრს ჰყავს ინკლუზიური განათლების სპეციალისტი, რომლის ერთ-ერთი ფუნქციაა, სასწავლო პროცესის მენეჯერის, მასწავლებლის და პროფესიული სტუდენტის ჩართულობით, უზრუნველყოს სსსმ პროფესიულ სტუდენტთათვის ადაპტირებული სასწავლო პროცესისა და გარემოს შექმნა მათი ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა ეფუძნება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას და მოდულს. სსსმ პროფესიული სტუდენტებისთვის განსხვავებულია შეფასების ინსტრუმენტის შედგენის სპეციფიკაც. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა უზრუნველყოფს სსსმ პროფესიულ სტუდენტთათვის მაქსიმალურ ჩართულობას სასწავლო პროცესში, მათ შორის ხელმისაწვდომობას ადაპტირებულ სასწავლო რესურსებზე. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა შესაბამისი პირობებით უზრუნველყოფის კონტროლი ხორციელდება პროფესიული განათლების ცენტრის ხელმძღვანელისა და ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის მიერ.

შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით, სსსმ პირებს წვდომა ექნებათ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებული იქნება სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

დაწესებულების ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის ''Front-end დეველოპმენტი'' განხორციელების მდგრადობა.

ვინაიდან პროგრამა ჯერ არ არის განფასებული, პროგრამის ბიუჯეტი დათვლილია თსუ პროფესიული ცენტრის მიერ ვებ-ტექნოლოგიების 64 კრედიტიანი პროგრამის გამოცდილების გაზიარებით. ხოლო, პროგრამის 'Front-end დეველოპმენტი'' მოცულობა კრედიტებში არის 60 კრედიტი, რისი უმნიშვნელო სხვაობა არსებით ზეგავლენას არ მოახდენს ახალ განფასებაზე და სწორი ადმინისტრირების პირობებში პროგრამა მდგრადი იქნება.

პროგრამის ბიუჯეტი ითვალისწინებს ისეთ ხარჯებს, როგორიცაა პროფესიული განათლების მასწავლებლების შრომის ანაზღაურება, მასალა ნედლეულის ღირებულება და პროგრამის სხვა საჭიროებისთვის დარჩენილ თანხებს. წარმოდგენილი ბიუჯეტის მიხედვით, ასევე განსაზღვრულია პროგრამის განხორციელების რენტაბელობის ზღვარი, რომელიც შეადგენს 11 პროფესიულ სტუდენტს, სტუდენტების იმ მინიმალური რაოდენობას, რომლის შემთხვევაშიც პროგრამა ფინანსურად მდგრადი იქნება.

დასტურდება (მტკიცებულებები):

• რექტორის ბრძანებით N 178/01-01 08.07.2024 დამტკიცებული ''სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, შეფასების, განვითარების და პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის წესი'';
• პირად საქმეში არსებული კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტებითა და გასაუბრების შედეგით;
• პროგრამაში ''Front-end დეველოპმენტი'' მითითებული საგანმანათლებლო რესურსები;
პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტი;
• ''სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი'';
• გასაუბრების და დატვალიერების შედეგები;

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;

დაწესებულებაში პროფესიული პროგრამის შეფასება და განვითარება ხდება „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, შეფასებისა და განვითარების წესით“, რომელიც დამტკიცებულია თსუ აკადემიური საბჭოს 2019 წლის 22 ივლისის №96/2019 დადგენილებით. რეგულაციის თანახმად, თსუ პროფესიული საგანმანათლებლო ცენტრში საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების პროცესის დაგეგმვასა და განხორციელებას უზრუნველყოფს თსუ პროფესიული განათლების ცენტრის ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან კოორდინირებული მუშაობით და მოქმედებს მეთოდოლოგიის შესაბამისად, რომელიც ეფუძნება ე.წ. დემინგის ციკლს.

ამასთან დაკავშირებით, დაწესებულებამ წარმოადგინა 2023 წლის ხარისხის უზრუნველყოფის ანგარიში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელთა შემაჯამებელი მოსაზრებების შესახებ, რომელიც მოიცავდა სხვადასხვა მითითებებს, გამოკვეთილ პრობლემატურ საკითხებს, განსახორციელებელი აქტივობების შესახებ ინფორმაციას და სხვა სახის რჩევებს, რომელთა გათვალისწინებაც ხელს შეუწყობს პროგრამების შემდგომი ადმინისტრირებისა და განვითარების პროცესის სრულყოფას.

შესაბამისად, დაწესებულებაში პროგრამის შეფასება ხორციელდება ხარისხის შიდა და გარე მექანიზმებით და ითვალისწინებს ყველა დაინტერესებული მხარის გამოკითხვას, შრომის ბაზრის კვლევას, სტატისტიკური მონაცემების დამუშავებას, გარე შეფასების შედეგებსა და შესაბამისი აქტივობების/ღონისძიებების დაგეგმვა განხორციელებას. “თსუ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, შეფასებისა და განვითარების წესი”-ს შესაბამისად საგანმანათლებლო პროგრამის ხელძღვანელი პასუხისმგებელია: პროფესიული პროგრამა მოიყვანოს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შესაბამისობაში ჩარჩო დოკუმენტთან და განახორციელოს მისი მოდიფიკაცია, ერთი სრული ციკლის დასრულების შემდეგ წარმოადგინოს პროგრამის შეფასების ანგარიში, სადაც ასახული იქნება პროგრამის განვითარების რეკომენდაციები.

თსუ, ასევე, აქტიურად თანამშრომლობს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ დაწესებულებებთან როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო დონეზე, რაც გამოიხატება ერთობლივი სამუშო შეხვედრებისა და სემინარების ჩატარებით, სადაც ხდება გამოცდილების გაზიარება, ახალი იდეების გენერირება და შრომის ბაზარზე არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით, სასწავლო პროცესში ახალი მიდგომების დანერგვაზე მსჯელობა. ინტერნაციონალიზაციის ჭრილში თსუ პროფესიული განათლების ცენტრს აქტიური კომუნიკაცია აქვს ესტონეთის, იდა ვირუმას პროფესიული განათლების ცენტრთან, რომლის წარმომადგენლებიც ქართველი კოლეგების ესტონეთში ვიზიტის შემდეგ სამუშაო ვიზიტით ეწვივნენ საქართველოს 2022 წლის სექტემბერში, მოინახულეს თსუ პროფესიული განათლების ცენტრის თბილისისა და ქუთაისის ლოკაციები. შედგა შეთანხმება, რომ პარტნიორებს შორის გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში დაიწყება მუშაობა საერთაშორისო პროექტებზე.

ამ მიზნით, თსუ პროფესიული განათლების ცენტრის წარმომადგენლები, ასევე, ეწვივნენ იდა ვირუმას პროფესიული განათლების ცენტრს 2023 წლის მაისში, ადგილზე გაეცნენ სხვადასხვა რგოლის პერსონალს, შეთანხმდნენ, რომ პირველ ეტაპზე, იმუშავებენ ინფორმაციული ტექნოლოგიების მიმართულებით ერთობლივი პროგრამის შექმნისა და პროფესიული სტუდენტების/მასწავლებლების მობილობის საკითხებზე, ხოლო თანამშრომლობის მომდევნო ეტაპზე გააკეთებენ განაცხადს პროფესიული განათლების ინსტიტუციური შესაძლებლობების განვითარების პროექტით შესაბამისი დაფინანსების მოსაპოვებლად. თანამშრომლობის მიმდინარე ეტაპზე, ესტონელი კოლეგები ჩართულნი არიან თსუ პროფესიული განათლების ცენტრის მიერ შემუშავებული შემდეგი პროგრამების გარე შეფასების პროცესში: "კომპიუტერული ქსელი და სისტემები"; „Front-end დეველოპმენტი"; „საწყობის ოპერირება"; „ტვირთების ექსპედირება". ესტონელი კოლეგები შეისწავლიან თსუ პროფესიული განათლების ცენტრის მიერ მიწოდებულ პროფესიულ პროგრამებს და გაუზიარებენ ქართველ მასწავლებლებს და ცენტრის პერსონალს თავიანთ შეფასებებს და რეკომენდაციებს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულებაში არსებული პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას.

2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თსუ პროფესიული განათლების ცენტრის ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი, გამოკითხვის შედეგებისა და პროგრამის ხელმძღვანელთა ანგარიშების ანალიზის საფუძველზე იდენტიფიცირებული სუსტი და ძლიერი მხარეების, ასევე, გასაუმჯობესებელი მიმართულებებისა და შესაბამისი რეკომენდაციების მითითებით, ყოველწლიურ ანგარიშს წარუდგენს პროფესიული განათლების ცენტრის ხელმძღვანელს და თსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსს.

პროფესიული განათლების ცენტრი პროგრამების ხელმძღვანელებთან ურთიერთთანამშრომლობით, საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში ცვლილებებისთვის საჭირო პროცედურების განხორციელებას. 2023-2024 სასწავლო წელს პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გამართულ შეხვედრებზე გამოკვეთილი მოსაზრებებისა და რეკომენდაციების გათვალისწინებით, ასევე, ადმინისტრაციული პერსონალის, პროფესიულ სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შედეგების ანალიზის საფუძველზე, განახლდა მატერიალური და ადამიანური რესურსი; მიმდინარეობს სასწავლო გეგმების, შეფასების ინსტრუმენტის, კალენდარული გეგმისა და უწყისების ფორმათა მოდიფიცირება. დაიხვეწა და გაუმჯობესდა ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის მექანიზმი და სპეციფიკა, გადაიხედა ისგ-ს საფუძველზე შექმნილი შეფასების ინსტრუმენტის ფორმა და შინაარსი. ღნიშნული დასტურდება გასაუბრებისა და დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- რექტორის 2024 წლის 08 ივლისის №178/01-01 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, შეფასების, განვითარების და პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის წესი“;
- ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის სამოქმედო გეგმა და შესრულების ანგარიში;
- დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრების შედეგები;

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „Front-end დეველოპმენტი“ მოიცავს სასწავლო გეგმას, რომლის საფუძველზეც განხორციელდება სასწავლო პროცესი. სასწავლო გეგმის შედგენისას გათვალისწინებულია თსუ-ში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხოციელებიდან წლების განმავლობაში დაგროვებული პრაქტიკული ცოდნა-გამოცდილება, კურსდამთავრებულთა და მოქმედ სტუდენტთა რეკომენდაციები სასწავლო დატვირთვის ხანგრძლივობასთან დაკავშირებით და მასწავლებელთა აკადემიური დატვირთვის რეალური შესაძლებლობები.

სასწავლო გეგმები აგებულია კანონმდებლობის დაცვით, პროგრამის განხორციელების სპეციფიკის გათვალისწინებით. უზრუნველყოფილია მოდულების ლოგიკური თანამიმდევრობა და პროფესიული სტუდენტისათვის ადეკვატური კვირეული დატვირთვა.

2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;

დაწესებულება უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთათვის ეფექტიანი სასწავლო გარემოს შექმნას სასწავლო პროცესის მუდმივი მონიტორინგის გზით, რაც გულისხმობს: გამოკითხვებს, ინდივიდუალურ ან/და ჯგუფურ შეხვედრებს, გასაუბრებებს, ჩატარებულ კონსულტაციებს. პროფესიული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტუდენტებისგან მიღებული უკუკავშირის საფუძველზე პროფესიული განათლების ცენტრი სათანადოდ და დროულად რეაგირებს მათ ინტერესებსა და გამოვლენილ საჭიროებებზე; იგეგმება შესაბამისი აქტივობები/ღონისძიებები სასწავლო პროცესის, რესურსის, გარემოს შემდგომი სრულყოფა-გაუმჯობესების მიზნით, მათ შორის იგულისხმება: სასწავლო პროცესის წარმართვა ორ ცვლაში (დილა-საღამოს), მოქნილი სასწავლო გეგმისა და საათობრივი დატვირთვის ბადის (ცხრილის) შემუშავება, ონლაინ სწავლების ფორმატი, ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავება, ინდივიდუალური კონსულტაციები და სხვა.

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;

პროფესიულ სტუდენტებს წვდომა აქვთ საგანმანათლებლო პროგრამით, მოდულებით განსაზღვრულ სასწავლო მასალებთან, მატერიალურ-ტექნიკურ აღჭურვილობასთან. გარდა ამისა, მოდულის სპეციფიკის გათვალისწინებით, პროფესიული განათლების მასწავლებელები იყენებენ სწავლების თანამედროვე მეთოდებს. პროფესიულ სტუდენტებს დამატებით აწვდიან მასალებს, ჰენდაუთებს, ელექტრონულ ლინკებს, ლიტერატურას რაც ეხმარება სტუდენტებს სასწავლო მასალის უკეთ გააზრებასა და ათვისებაში.

თანამედროვე სწავლებისა და შეფასების მეთოდების გასაცნობად, კვალიფიკაციის ასამაღლებლად პროფესიული მასწავლებლებისთვის მუდმივად ხორციელდება ტრენინგები, ვორქშოფები, მასტერკლასები. ამ ეტაპზე, პროგრამის ''Front-end დეველოპმენტი'' განმახორციელებელ პერსონალთა ნაწილს ასევე გავლილი აქვს სწავლის თანამედროვე მიდგომების მიმართულებით.

4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;

მარეგულირებელი დოკუმენტის ფარგლებში, დაწესებულებას შემუშავებული აქვს შშმ და სსსმ პირების სასწავლო პროცესში ინტეგრირების მექანიზმები. მარეგულირებელი წესით განსაზღვრულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალურ საჭიროებებზე რეაგირების მექანიზმი და პროცედურები, ასევე, განსაზღვრულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავების შემთხვევები, მის შემუშავებაზე პასუხისმგებელი პირები და ამ პროცესში პროფესიულ სტუდენტთა სავალდებულო ჩართვისა და მათთან შეთანხმების მექანიზმი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სასწავლო პროცესში პროფესიული სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო საჭიროებ(ებ)ის გამოვლენის შემთხვევაში მასწავლებელი დაუყოვნებლივ აცნობებს ცენტრის ხელმძღვანელს აღნიშნულის თაობაზე. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა გონივრულ ვადაში (არაუმეტეს 2 კვირა), პროფესიული სტუდენტი და, საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი დარგის სპეციალისტის ჩართულობით, იქმნება პროფესიული მასწავლებლის მიერ რომელიც უნდა შეთანხმდეს სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერთან.

ინდივიდუალური სასწავლო გეგმის საფუძველზე პროფესიული მასწავლებელი უფლებამოსილია სასწავლო პროცესის ფარგლებში:

ა) შეარჩიოს და გამოიყენოს პროფესიულ სტუდენტზე მორგებული სწავლა-სწავლების სტრატეგიები და მეთოდები;

ბ) დაადგინოს საათების განაწილების განსხვავებული, ინდივიდუალური სქემა;

გ) გამოიყენოს დამატებითი რაოდენობის სასწავლო მასალა და ნედლეული

აღნიშნული მექანიზმი გამოიყენება როგორც სსსმ პროფესიულ სტუდენტებთან, ასევე, საჭიროების შემთხვევაში, პროფესიული სტუდენტის მობილობისას, სტატუსაღდგენილი პროფესიული სტუდენტისთვის, მოდიფიცირებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიული სტუდენტის გადაყვანისას. აღნიშნული მექანიზმის ეფექტურობის, გამართულობის გადამოწმება ხდება ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის მიერ მსგავსი საჭიროების მქონე სტუდენტთან ან/და მეურვესთან, ინკლუზიური განათლების სპეციალისტთან, სასწავლო პროცესის მენეჯერთან გასაუბრების, გამოკითხვის ჩატარების გზით. ასევე, კონკრეტული ტიპის საჭიროებ(ებ)ის გამოვლენისას, თსუ პროფესიული განათლების ცენტრი და სამინისტროს მულტიდისციპლინური გუნდის ჩართულობით დამატებით უზრუნველყოფს მათთვის შესაბამისი მომსახურების გაწევას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულებაში, პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას, გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები.

5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „Front end დეველოპმენტი“ არ ითვალისწინებს პრაქტიკის კომპონენტს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

პროფესიული პროგრამის „Front-end დეველოპმენტი“-ს მოდულები უსაფრთხოების დაცვასთან დაკავშირებით განსაკუთრებულ მიდგომებს არ საჭიროებს. თუმცა, თსუ დაცვისა და უსაფრთხოების სამსახური სხვა შესაბამის დეპარტამენტებთან/სამსახურებთან კოორდინირებული მუშაობით საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს უსაფრთხო სასწავლო და სამუშაო გარემოს შექმნას პროფესიული სტუდენტებისა და მასწავლებლებისთვის.

დასტურდება (მტკიცებულებები):

• “სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ” აკადემიური საბჭოს 2021 წლის 29 ივლისის №64/2021 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

• პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „Front-end დეველოპმენტი“;
პროგრამის სასწავლო გეგმა;
• თსუ აკადემიური საბჭოს 2019 წლის 22 ივლისის №95/2019 დადგენილება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ’’
• პერსონალთან გასაუბრების შედეგები;

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;

დაწესებულებას შემუშავებული აქვს "სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი". ამასთან, უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით დამტკიცებულია „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული სტუდენტის შეფასების პროცესის წარმართვის, სწავლის შედეგების მიღწევის დამადასტურებელი დოკუმენტაციის გაფორმების, დასრულებული შეფასების მტკიცებულებების შენახვისა და განკარგვის წესი" სადაც გაწერილია პროფესიული სტუდენტის შეფასების პროცედურა, რომლის მიზანია, განსაზღვროს პროფესიული სტუდენტის მიღწევების დონე და მისი შესაბამისობა დაგეგმილ შედეგებთან. ასევე, შეფასების ინსტრუმენტის ფორმა ითვალისწინებს კონკრეტული პასუხისმგებელი პირის მიერ ინსტრუმენტის შეთანხმების პროცედურას. კერძოდ, შეფასების ინსტრუმენტის შეთანხმება ხდება თსუ პროფესიული განათლების ცენტრის სასწავლო პროცესის მენეჯერის მიერ;

რამდენადაც აღნიშნულმა პროცედურებმა შესაძლებელია, სრულად ვერ უზრუნველყოს შეფასების ინსტრუმენტების ვალიდურობა, პროფესიული განათლების ცენტრმა ვერიფიკაციის შედეგების ანალიზისა და რეკომენდაციების საფუძველზე შეიმუშავა პროცედურა, რომლის მიხედვით შეფასების ინსტრუმენტის შინაარსობრივ მხარეს შეითანხმებს დარგის სპეციალისტი (რომელიც შეავსებს ინსტრუმენტის ვალიდაციის სპეციალურ ფორმას და დაადასტურებს ხელმოწერით), ხოლო დამატებით, ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი წელიწადში ერთხელ, რისკების საფუძველზე შერჩეული პროგრამ(ებ)ის ვერიფიკაციას განახორციელებს დარგის მასწავლებლებთან/პროგრამის ხელმძღვანელებთან ერთად ვერიფიკაციის წესის შესაბამისად.

დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის ფარგლებში გაწერილია პროფესიული სტუდენტის შეფასებისა და შეფასების გასაჩივრების პროცედურები. გარდა ამისა, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "პროფესიული სტუდენტის შეფასების ვერიფიკაციის წესის" თანახმად, სტუდენტის შეფასება ეფუძნება შემდეგ პრინციპებს: ვალიდურობას, სანდოობას, გამჭვირვალობას, სამართლიანობასა და ობიექტურობას.

დაწესებულებაში პროფესიული სტუდენტის შეფასების სანდოობა, გამჭვირვალობა, სამართლიანობა და ობიექტურობა უზრუნველყოფილია დაწესებულების მიერ შემუშავებული რეგულაციით, შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადამიანური რესურსით, სწორად შედგენილი შეფასების ინსტრუმენტითა და კალენდარული გეგმით, სალექციო პროცესზე, განმავითარებელ/ განმსაზღვრელ შეფასებებზე პერმანენტული დაკვირვებითა და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროფესიულ სტუდენტებთან, მასწავლებლებთან მუდმივი კომუნიკაციით. შესამაბისად, პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური

2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;

შეფასების პროცესის ვერიფიკაციამ უნდა დაადასტუროს, რომ შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, ობიექტური და სამართლიანი. ვერიფიკაციის შედეგებს არ აქვს გავლენა სტუდენტის შეფასებაზე და მის შედეგებს უნდა მოყვეს შეფასების სისტემის შესაბამისობისა, გაუმჯობესების გეგმის შედგენა ან/და გაუმჯობესება. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით (N329/01-01 (19/12/2023) დამტკიცებულია განახლებული „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული სტუდენტის შეფასების ვერიფიკაციის წესის“ თანახმად, სტუდენტის შეფასების ვერიფიკაციის პროცესი ხორციელდება შემდეგი მიმართულებებით: გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტის, შეფასების პროცესის და მტკიცებულებათა ვერიფიკაცია. ხოლო სტუდენტის შეფასება ეფუძნება შემდეგ პრინციპებს: ვალიდურობას; სანდოობას; გამჭვირვალობას; სამართლიანობასა და ობიექტურობას.

დოკუმენტში დეტალურადაა გაწერილი ვერიფიკაციის პროცესი, ეტაპები, პროცესში ჩართული და განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირები. შემთხვევითი ან/და კონკრეტული კრიტერიუმების მიხედვით შერჩეული და დარგის სპეციალისტების მიერ უკვე ვალიდირებული შეფასების ინსტრუმენტები გადის ვერიფიკაციის პროცესს, რომელსაც ხელმძღვანელობს პროფესიული განათლების ცენტრის ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი.

2022-23 წლებში თსუ პროფესიული განათლების ცენტრში ვერიფიკაციის პროცესის წარმატებული პრაქტიკა დაინერგა. კერძოდ, თბილისის ლოკაციაზე სასწავლო პროცესში შექმნილი შეფასების ინსტრუმენტების ვერიფიკაცია ხორციელდება ქ. ქუთაისის ლოკაციის ადამიანური რესურსის (მასწავლებლების, პროგრამის ხელმძღვანელების, ადმინისტრაციული პერსონალის) მიერ და პირიქით. აღნიშნული პრაქტიკა სრულად გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს და მაქსიმალურად უზრუნველყოფს ვერიფიკაციის პროცესის სანდოობას, გამჭვირვალობასა და ობიექტურობას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დაწესებულებაში, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;

თსუ-ში დოკუმენტების აღრიცხვა და შენახვა წარმოებს „ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქმისწარმოების ერთიანი წესის“ მიხედვით. კანცელარიაში გადაცემული დოკუმენტების აღრიცხვაზე, მოძრაობასა და შენახვაზე პასუხისმგებელია საქმისწარმოებაზე პასუხისმგებელი პირი. დოკუმენტის მოძრაობა ფიქსირდება ელექტრონულ ბაზაში.

პროფესიული პროგრამების სპეციფიკის გათვალისწინებით, თსუ პროფესიული განათლების ცენტრს რექტორის 2022 წლის 15 ივლისის ბრძანებით N214/01-01 დამტკიცებული აქვს "სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული სტუდენტის შეფასების პროცესის წარმართვის, სწავლის შედეგების მიღწევის დამადასტურებელი დოკუმენტაციის გაფორმების და დასრულებული შეფასების მტკიცებულებების შენახვისა და განკარგვის წესი", რომელიც დამატებით ეფექტიანად უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას, ასევე, შეფასების უწყისის წარმოებას, შენახვას კანონმდებლობით და უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული წესის შესაბამისად. აღნიშნული წესის თანახმად, მასწავლებელი, მატერიალური სახით ჩატარებული ძირითადი შეფასების დასრულების შემდეგ, უზრუნველყოფს სტუდენტის შეფასების ინსტრუმენტის, შეფასების პროცესში შექმნილი მტკიცებულებების და შევსებულ სამუშაო უწყისის მიწოდებას ცენტრის სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერისთვის/სასწავლო პროცესის მართვის სპეციალისტისთვის. შეფასების ინსტრუმენტი, შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემები და მტკიცებულებები ცენტრში ინახება პროგრამის დასრულებიდან 3 წლის ვადით. სტუდენტის ინდივიდუალური და შემაჯამებელი უწყისები ინახება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით როგორც, მკაცრი აღრიცხვის დოკუმენტები.

4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

თსუ პროფესიული განათლების ცენტრს რექტორის 2022 წლის 15 ივლისის ბრძანებით N214/01-01 დამტკიცებული აქვს "სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული სტუდენტის შეფასების პროცესის წარმართვის, სწავლის შედეგების მიღწევის დამადასტურებელი დოკუმენტაციის გაფორმების და დასრულებული შეფასების მტკიცებულებების შენახვისა და განკარგვის წესით" რეგულირდება პროფესიულ სტუდენტთა შეფასების პროცესისა და შედეგების შესახებ პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირების მექანიზმი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

არსებული პრაქტიკის მიხედვით, პროფესიული სტუდენტების მიერ მიღებული შედეგების საფუძველზე, მასწავლებელი აანალიზებს მათ მიღწევებსა და გასაუმჯობესებელ მხარეებს, შეიმუშავებს სტუდენტების შემდგომი განვითარების მექანიზმს. კერძოდ, შეფასების ინსტრუმენტების შესწავლის, პროფესიული განათლების მასწავლებლებთან და პროფესიულ სტუდენტებთან გამართული შეხვედრების, გამოკითხვების ანალიზის საფუძველზე იცვლება და უმჯობესდება შეფასების ინსტრუმენტისა და კალენდარული გეგმების ფორმები, პროფესიულ სტუდენტებს, მომართვის საფუძველზე, ენიშნებათ დამატებითი კონსულტაციები, უტარდებათ საინფორმაციო შეხვედრები დარგის მოწვეულ სპეციალისტებთან საჭირო მიმართულებებით. ეს ყველაფერი კი ხელს უწყობს სტუდენტზე კიდევ უფრო მეტად ორიენტირებული, ადაპტირებული, განმავითარებელი სასწავლო გარემოს შექმნას. გამომდინარე აქედან, დაწესებულებაში პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

დასტურდება (მტკიცებულებები):

• აკადემიური საბჭოს 2021 წლის 29 ივლისის №64/2021 დადგენილება „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ" (ცვლილება 02/10/2023 №93/2023);
• თსუ რექტორის 2022 წლის 15 ივლისის N214/01-01 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული სტუდენტის შეფასების პროცესის წარმართვის, სწავლის შედეგების მიღწევის დამადასტურებელი დოკუმენტაციის გაფორმების, დასრულებული შეფასების მტკიცებულებების შენახვისა და განკარგვის წესი";
• რექტორის ბრძანებით (N329/01-01 (19/12/2023) დამტკიცებული „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული სტუდენტის შეფასების ვერიფიკაციის წესის"
• დაწესებულების პერსონალთან და ვერიფიკაციის პროცესის განხორციელებაზე პასუხისმგებელ პირთან გასაუბრების შედეგები

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია
დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი

თარიღი: 01.08.2024

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: